

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის

შპს სამსარა
ს/კ 405543121



SAMSARA


სარჩევი

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საქმიანობის შედეგები.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობა.....	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.....	6
2.ფინანსური საფუძველების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა ..	6-7
3.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7-13



SAMSARA

შპს „სამსარას“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57536	48160	199987
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	562949	676448	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9729	11986	185269
მარაგები	5805	149	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	5805	149	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	114941	40746	52542
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	148064	148064	0
ძირითადი საშუალებები	175842	160465	124774
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1074866	1086018	562572
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	699747	760805	9197
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	264	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1662531	1707516	744446
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	397636	183932	10795
სულ ვალდებულებები	2760178	2652253	764438
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1685312	-1566235	-201866
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-1685312	-1566235	-201866
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1074866	1086018	562572

შპს სამსარა

დირექტორი: თორნიკე ქეზურია

DocuSigned by:

C60F01F7F0B04D6...



SAMSARA

შპს „სამსარას“-ს


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


საქმიანობის შედეგი

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8123781	2801617
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	8123781	2801617
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	8123781	2801617
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1473476	-1133370
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-39596	-37284
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-213704	-172101
იჯარის ხარჯი	-69855	-54415
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6495326	-2762851
სულ საოპერაციო ხარჯები	-8291957	-4160021
საოპერაციო მოგება	-168176	-1358404
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	11335	-30861
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	40161	24913
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-116680	-1364352
მოგების გადასახადის ხარჯი	-2397	-17
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-119077	-1364369
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-119077	-1364369
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1566235	-201866
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1685312	-1566235

შპს სამსარა

დირექტორი: თორნიკე ქეზურია

DocuSigned by:

 C60F01F7F0B04D6...



SAMSARA

შპს „სამსარას“-ს


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	86462	-1123916
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-54415	-52307
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-22671	1024396
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	9376	-151827
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	48160	199987
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	57536	48160

შპს სამსარა

დირექტორი: თორნიკე ქებურია

DocuSigned by:

C60F01F7F0B04D6...



SAMSARA

შპს სამსარას 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს „სამსარა“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2022 წლის 22 ივნისს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 405543121.

საზოგადოების დამფუძნებელია:

საზოგადოების დამფუძნებელი 2024 წლის 24 ივნისამდე იყო მანუჩარ მანაგაძე პ/ნ 65002008573, ხოლო 2024 წლის 24 ივნისიდან კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ელგუჯა ქებურია, 62004003476 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/.

იურიდიული მისამართია:

საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი VII, კორპუსი N1, ბინა 92ა

საზოგადოების დირექტორია:

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებას შეეცვალა დირექტორი: 2024 წლის 24 ივნისამდე იყო მანუჩარ მანაგაძე პ/ნ 65002008573, ხოლო 2024 წლის 24 ივნისიდან საზოგადოების ერთპიროვნული დირექტორი არის თორნიკე ქებურია, 01591006120 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/.

ორგანიზაციის საქმიანობის სახეა:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა აზარტული თამაშების მიწოდება, (B2B) და ფლობს შესაბამის ნებართვას ნომრით #19-02/30.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.



SAMSARA

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს).

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა



SAMSARA

შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ხელმძღვანელობს მსს ფასს მე-11 განყოფილების გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები. კომპანია კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შესაფასებლად, აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის მქონე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განაკვეთები ჯგუფზე განსაზღვრულია ისტორიული მონაცემებით.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ისინი მზად იქნება გამოსაყენებლად კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული წესით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივად. თითოეულ აქტივს ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

6. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების



SAMSARA

ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

8. შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან;

9. საოპერაციო ხარჯები

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

10. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება.

11. დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი,



SAMSARA

გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

12. გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.



SAMSARA

საშემოსავლო გადასახადი

1. 20% იანი განაკვეთით დასაბეგერი ოპერაციებია:

- დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურება;
- ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურება;
- მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები;

2. არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაეკემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი, 5%-იანი და 0% -იანი განაკვეთით. დაბეგვრისას გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი;

საპენსიო ანარიცხი:

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე თითოეულს: დამსაქმებელს და სახელმწიფოს, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2%.

ქონების გადასახადი:

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა.შ. ქონების გადასახადი ანგარიშდება ზემოაღნიშნული ქონების წლიური საბალანსო ნარჩენი საშუალო ღირებულებიდან არა უმეტეს 1%-ის ოდენობით.



SAMSARA

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57536	48160

საწარმოო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	562949	676448
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9729	11986

საწარმოო მარაგები

საწარმოო და სხვა მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	5805	149

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	699747	760805

შემოსავალი

2024 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
მომსახურების გაწევიდან	8123781	2801617



SAMSARA

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1473476	-1133370
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-39596	-37284
საპროცენტო ხარჯი	-213704	-172101
იჯარის ხარჯი	-69855	-54415
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6495326	-2762851

13. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

12.1. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

12.2 ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს;

შპს სამსარა

დირექტორი: თორნიკე ქეზურია

DocuSigned by:

 C60F01F7F0B04D6...